ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

# ბიულეტენი

N5

2 ოქტომბერი

1989 წ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება

მოუწოდებს ქართველ ერს - საბჭოთა არჩევნების სრული ბოიკოტისაკენ!

# საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი

მოკლე ინფორმაცია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შესახებ

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის (ს.ე.დ.პ.)საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა 1988 წლის 8 დეკემბერს წმ.ილია მართლის საზოგადოების წევრებისაგან.სედპ-ს მიერ წამოყენებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუყოვნებელი ბრძოლის პოლიტიკური დოქტრინა,რომლის ნათელი დადასტურებაც იყო 1988 წლის 8 თებერვლის და 25 თებერვლის აქციები.

1989 წლის 8 თებერვალს,წმ.დავით აღმაშენებლის აღსაყდრების 900 წლისთავთან დაკავშირებულ მიტინგზე, რომელიც მოაწყო ს.ე.დ.პ. და წმ.ილია მართლის საზოგადოებამ,ოფიციალურად გამოცხადდა-საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.

25 თებერვალს,პირველად საქართველოს ისტორიაში 1924 წლიდან ს.ე.დ.პ. და წმ.ილია მართლის საზოგადოებამ მოაწყო ნამდვილი ქართული ე.ი. ანტისაბჭოთა აქცია. 25 თებერვალი-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის დღე ბოლშევიკური რუსეთის მიერ-გამოცხადებულ იქნა ეროვნული გლოვის დღედ.მიუხედავად ხელისუფალთა მცდელობისა დაერბიათ მანიფესტაცია (უნდა აღინიშნოს, რომ მათ მოახერხეს სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მანიფესტაციების დარბევა ქალაქის სხვადასხვა უბანში). მოეწყო მსვლელობა რუსთაველის პროსპექტზე და მიტინგი უნივერსიტეტის ეზოში.ეს დღე იქცა გარდატეხის თარიღად, ეროვნული მოძრაობა ძშკარად გადაიზარდა განმანთავისუფლებელში. მიტინგზე წაკითხულ იქნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პროგრამა /პროექტი/ და დაიწყო ხელმოწერების კამპანია პეტიციაზე,საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

1989 წლის 25 მარტს ქ.თბილისში წმ.დემეტრე თავდადებულის ხსენების დღეს დაფუძნდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია,დამფუძნებულ კრებაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა პარტიის პროგრამა,არჩეულ იქნა ეროვნული (მთავარი)კომიტეტი,პარტია დაიყო კომიტეტებად.

1989 წლის 4 აპრილიდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით დაიწყო საყოველთაო-სახალხო-ეროვნული გამოსვლები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით,რომელიც 9 აპრილს,გამთენიისას კრემლის მიერ სისხლში იქნა ჩახშობილი.

1989 წლის ივნის-ივლისში კრემლის მიერვე ინსპირირებულ ეთნოკრიზისს ქვემო ქართლსა და აფხაზეთში,რომელმაც გამოიწვია სისხლისმღვრელი შეტაკებანი, სედპ-მ დაუპირისპირა საყოველთაო გაფიცვები და გამოსვლები.

1989 წლის 15-16-17 სექტემბერს თბილისის მახლობლად გამარჯვებაში ჩატარდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი.

ამჟამად პარტია აერთიანებს ათასზე მეტ წევრს მთელი საქართველოს მასშტაბით.პარტია იყოფა რეგიონალურ, რაიონულ და პირველად ორგანიზაციებად.

## თბილისი 15,16,17 / IX გამარჯვება 1989 წ.

1989 წლის 15 სექტემბრიდან თბილისის მახლობლად სოფ.გამარჯვების კულტურის სახლში მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველმა კონგრესმა. კულტურის სახლის ფოიეში გამოფენილი იყო სედპ-ს მუშაობასთან დაკავშირებული, სტენდები,თვითგამოცემითი ლიტერატურა და სხვა.სხდომათა დარბაზის სცენას ამშვენებდა საქართველოს ეროვნული და სედპ დროშები.

კონგრესი გახსნა პარტიის ლიდერმა ბ-მა ირაკლი წერეთელმა.წაკითხული იქნა ლოცვა და შესრულდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი "დიდება".კონგრესის დელეგატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამშობლოს თავისუფლებისათვის დაცემულ მამულიშვილთა ხსოვნას.

კონგრესს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები:ბ-ნი ზვიად გამსახურდია,ბ-ნი თემურ ქორიძე,ბ-ნი ირაკლი მელაშვილი და ქ-ნი მზია შერვაშიძე.თავის მისალმებაში კონგრესისადმი ბ-მა ზვიად გამსახურდიამ ხაზი გაუსვა პარტიისა და წმ.ილია მართლის საზოგადოების ერთიანობას,გამოთქვა კონკრეტული სურვილები პარტიის პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირებით,მანვე აღნიშნა,რომ არ არსებობს ეროვნული და განმათავისუფლებელი მოძრაობა გათიშულად,კონგრესს მიესალმენ აგრეთვე ბ-ნი თემურ ქორიძე რომელმაც ხაზი გაუსვა პიროვნების როლს პარტიაში, ბ-ნი ირ.მელაშვილი /სამართალ-რადიკალური პარტია/ და პოეტი ქ-ნი მზია შერვაშიძე.

კონგრესის სხდომათა თავჯდომარემ თორნიკე ფიფიამ გამოაცხადა სამანდატო კომისიის მონაცემები.კონგრესს ესწრებოდა 238 დელეგატი (213-პარტიის წევრი,25 წმ. ილია მართლის საზოგადოებიდან).ერთხმად მტკიცდება დღის წესრიგი:

1.სედპ შექმნის და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია.
მომხ. ირ.წერეთელი
2.სედპ პროგრამის განხილვა და დამტკიცება.
მომხ.თ.სუმბათაშვილი
3.სედპ წესდების განხილვა და დამტკიცება.
მომხ. ირ.წერეთელი
4.არჩევნები (პარტიის თავმჯდომარის,მთავარი კომიტეტის, წარმომადგენელთა პალატის).
5.პარტიის ორგანიზაციული წყობის საფუძვლები. (სტრუქტურული,პირველადი,რაიონული,რეგიონალური და დარგობრივი ორგანიზაციების ფუნქციების განსაზღვრა)
6.ინფორმაციები მიმდინარე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ.
მომხ: ირ.წერეთელი
ირ.ბათიაშვილი
თ.სუმბათაშვილი
7.რეზოლუციების მიღება.
8.უახლოესი მასობრივი პოლიტიკური აქციების დაგეგმვა.
9.კონგრესის დახურვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ-მა ირაკლი წერეთელმა,რომელმაც მოკლედ მიმოიხილა პარტიის შექმნის ისტორია,აღნიშნა მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებანი,პარტიის დამოკიდებულება სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებისადმი.

სედპ პარტიის პროგრამის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი თეიმურაზ სუმბათაშვილი.გაიმართა კამათი. განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა ეროვნული დამოუკიდებლობის დეკლარაციის მე-8 მუხლი და პარტიის სამოქმედო პროგრამის მე-7 მუხლი.(პროგრამა გამოქვეყნდა "ბიულეტენის" მე-3 და მე-4 ნომრებში) წამოჭრილ შეკითხვებთან დაკავშირებით პასუხები გასცეს ირ.ბათიაშვილმა, ირ.წერეთელმა და თ.სუმბათაშვილმა.აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა. გამოიწვია აგრეთვე პროგრამულმა მუხლებმა მოქალაქეობის და სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

პარტიის პროგრამა მოცემული ფორმულირებებით მიღებულ იქნა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.თავი შეიკავა მხოლოდ ერთმა დელეგატმა.ამით კონგრესის მუშაობის პირველი დღე დასრულდა.

### 16 სექტემბერი.

სხდომა გახსნა თორნიკე ფიფიამ.მან წაიკითხა პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საინიციატივო ჯგუფის მისალმება კონგრესისადმი.საინიციატივო ჯგუფმა განაცხადა,რომ შეიქმნა პარტია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.აქვე უნდა ავღნიშნოთ,რომ ამ დღიდან კონგრესს ესწრებოდა წმ.ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი ბ-ნი ვაჟა ადამია.

სედპ წესდების შესახებ ილაპარაკა ირაკლი წერეთელმა,მანვე წაიკითხა წესდების პროექტი.პარტიის თავჯდომარის სტატუსთან დაკავშირებით კენჭისყრის შედეგები ასეთი იყო- მომხრე 131 წინააღმდეგი 27 თავი შეიკავა 8.ხმათაუმრავლესობით დამტკიცდა თავმჯდომარის სტატუსი. განსაკუთრებული ვნებათაღელვა და კამათი გამოიწვია წესდების პროექტში წარმომადგენელთა პალატამ.საბოლოოდ დელეგატები შეთანხმდნენ,რომ წარმომადგენელთა პალატა არის შუალედური რგოლი პარტიის მთავარ კომიტეტსა და პირველად ორგანიზაციებს შორის.

კენჭისყრით წესდება მიღებულ იქნა ერთხმად.არჩევნების დაწყებამდე თამაზ ჟორჟოლიანმა (ეგრისის რეგიონალური კომიტეტი)ინფორმაცია გააკეთა ზუგდიდში მიმდინარე შიმშილობის შესახებ,აქციაზე საერთაშორისო მისიების ჩამოსვლასთან დაკავშირებით.

დღის ბოლოს გაიმართა არჩევნები.პარტიის თავჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ბ-ნი ირაკლი წერეთელი. მთავარი კომიტეტის არჩევნებმა შემდეგი შედეგი მოგვცა:

1. ირაკლი წერეთელი-ერთხმად.
2. ირაკლი ბათიაშვილი-ერთხმად.
3. თეიმურაზ სუმბათაშვილი-ერთხმად.
4. თორნიკე ფიფია (ჯვარი)-156 ხმა.
5. დავით ჯანელიძე -137 ხმა.
6. მერაბ იაშვილი -127 ხმა.
7. თამაზ ჟორჟოლიანი(ზუგდიდი)-116 ხმა.
8. კობა ხაბაზი (ქობულეთი)-115 ხმა.
9. მამუკა ცაგარელი -113 ხმა.
10. ვასიკო ხომერიკი -104 ხმა.

### 17 სექტემბერი

17 სექტემბერს კონგრესს ესწრებოდნენ ბ-ნი ზვიად გამსახურდია და ბ-ნი მერაბ კოსტავა.

ზვიად გამსახურდიამ დელეგატებს აცნობა "სამხრეთოსეთში" შექმნილი ვითარების შესახებ.მანვე წაიკითხა ოსს სეპარატისტთა პროვოკაციული წერილი (დაიბეჭდა სედპ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ "დროება"-ში №4).

სიტყვა მისალმებისათვის მიეცა ბ-ნ მერაბ კოსტავას. მან თავის გამოსვლაში მიულოცა ირაკლი წერეთელს პარტიის ხელმძღვანელად არჩევა,განაცხადა,რომ წმ.ილია მართლის საზოგადოების და ს.ე.დ.პ. ერთიანობა იქნება ურღვევი, ხაზი გაუსვა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დემოკრატიულობას,დაგმო გათიშულობა და შუღლი. აღნიშნა,რომ სანუკვარი იდეის მისაღწევად აუცილებელი პირობაა თავგანწირვა.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავჯდომარემ ირაკლი წერეთელმა კოოპტაციის წესით მთავარ კომიტეტში შეიყვანა:რობერტ ბირკაია (მარტვილი) და გიორგი ჯინჭარაძე.

ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის წინადადებით პარტიის ჰიმნად დამტკიცდა ქართული ხალხური სიმღერა "მუმლი მუხასა".

ამის შემდეგ ჩატარდა წარმომადგენელთა პალატის არჩევნები,პირველად,რაიონულ ორგანიზაციებად დაყოფა. შეიქმნა დარგობრივი ორგანიზაციების საინიციატივო მუშა ჯგუფები.ეს ორგანიზაციებია:

1. ერთაშორის ურთიერთობის 2.საგამომცემლო ბიურო.
2. საინფორმაციო სააგენტო 4.ფინანსთა ბიურო.
5. აქციების ჩატარების 6.ადამიანის უფლებათა დაცვის.
7. საარქივო ფონდი 8.სტატისტიკის და პროგნოზირების ბიურო.

მიმდინარე პოლიტიკური მომენტის შესახებ პოლიტიკური მოხსენებებით გამოვიდნენ ირაკლი წერეთელი,ირაკლი ბათიაშვილი, თეიმურაზ სუმბათაშვილი. გამოიკვეთა სამი ძირითადი ხაზი:

1. საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი.2.ეთნოკრიზისი(ოსური სეპარატიზმი) 3.აქცია საერთაშორისო მისიების ჩამოსვლასთან დაკავშირებით.აღნიშნული საკითხების ირგვლივ გაიმართა კამათი.რომელშიც მონაწილეობდნენ: ვ.კილაძე, თ.ჟორჟოლიანი, გ.ფოფხაძე და სხვები.

დღის ბოლოს კონგრესის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუციები, რომელთაც ვაქვეყნებთ.ბიულეტენში.

ამით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველმა კონგრესმა მუშაობა დაამთავრა.

P.S. აღნიშვნის ღირსია სოფ.გამარჯვების სედპ-ს პირველადი ორგანიზაცია,რომელმაც ითავა კონგრესის ორგანიზება და მისი შეუფერხებელი ჩატარება.საორგანიზაციო ჯგუფი (თ.აბესაძე გ.შენგელიძე, გ.ოჩიაური).

### საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესის

### რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

### რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების ერთიანი დეკოლონიზაციის კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი აცხადებს: სახელმწიფო, რომელიც შენიღბულად ატარებს სსრ კავშირის სახელს, წარმოადგენს რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას, კრემლის ტრადიციულ დიდმპყრობელურ პრინციპებზე აგებულს, რომელმაც სუვერენულ სახელმწიფოთა ანექსიით მეფის რუსეთის იმპერიის დანგრევის შედეგად განთავისუფლებულ ერებში შეიარაღებულ აგრესიაზე დაყრდნობით განახორციელა გასაბჭოების დანაშაულებრივი პოლიტიკა და დღეს არსებული საბჭოთა სახელმწიფოს სახით შეიქმნა დაპყრობილ ერთა იძულებითი გაერთიანება. გარეშე შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით განხორციელებული გასაბჭოება იყო დანაშაული და აგრესია, რომელიც საბჭოთა ბოლშევიკურმა რუსეთმა განახორციელა ამიერკავკასიის, მოლდავეთის და ბალტიისპირეთის ხალხების მიმართ. არავითარი კანონიერი საფუძველი ამ ქვეყნებში, არც საბჭოთა ხელისუფლების და არც მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის ე.წ.სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარების ყოფნას არ გააჩნია, რადგან არსებული მდგომარეობა, რომელიც უშუალო

შედეგია ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების მიმართ ჩადენილი აგრესიისა, საჭიროებს ძირფესვიან შეცვლას და თვისობრივი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის პრინციპულად განსხვავებულ სტადიაში გადასვლას. დაპყრობილი ერის ნება და მისწრაფება თავისუფლებაა. რომელიც უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში, რამეთუ თვითგამორკვევის უზენაესი პრინციპის რეალიზაციით სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებული თავისუფალი ერები ქმნიან უფლებრივ თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ მსოფლიო მთლიანობას, რომელიც კაცობრიობის პროგრესული და დემოკრატიული განვითარების წინაპირობაა, მეოცე საუკუნე - ერთა თვითგამორკვევისა და თვითდაფუძნების დიდი საუკუნე **თავისუფლების**, როგორც მსოფლიო პოლიტიკის რეალურ სტრუქტურაში არსებული სინამდვილის ტოტალურ ხორცშესხმას წარმოადგენს და თავისი ბუნებრივი განვითარებით უპირისპირდება იმპერიულ პრინციპებსა და სტრუქტურებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრიობას. არავითარი ლოგიკური საერთო თანამედროვე დემოკრატიულ ცივილიზაციასთან არ შეიძლება გააჩნდეს სსრ კავშირად სახელწოდებულ იმპერიას, რადგან სახელმწიფოებმა, რომელთა დოქტრინა გამორიცხავს ერთა თავისუფალ განვითარებას, დიდი ხანია ამოწურეს თავიანთი დანიშნულება. ამიტომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი ეჭვმიუტანლად წინასწარმეტყველებს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის დაშლას მის მიერ დაპყრობილი ერების თავისუფალი განვითარების სასარგებლოდ და ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, უკრაინისა და სომხეთის ეროვნულ, პოლიტიკურ, დემოკრატიულ ძა**ლებს** მოუწოდებს შეიქმნას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლებისა და დეკოლონიზაციის ერთიანი კომიტეტი.

მსოფლიოს ყველა ერის სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის დემოკრატიული **განვითარებისათვის**, რის გარეშეც ვერ მოხერხდება თავისუფლების, როგორც არსებობის უმაღლესი მიზნის რეალიზაცია მსოფლიო სინამდვილეში. ამ თვალსაზრისით უდიდესი მისია ეკისრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც უდიდესი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების გადალახვის ფასად უცილობელი გამარჯვება უნდა მოიპოვოს ძალმომრეობაზე აგებულ უდიდესი შეიარაღებული პოტენციალის მქონე იმპერიაზე. დღეს როდესაც იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში დღითიდღე აღმავლობას განიცდის ეროვნული მოძრაობა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლებისა და დეკოლონიზაციის ერთიანი კომიტეტის შექმნა იქნება განმათავისუფლებელი მოძრაობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა.

რუსეთის მოდერნიზებული **იმპერიის** მიერ დაპყრობილი ერების განთავისუფლებისა და დეკოლონიზაციის ერთიანი კომიტეტი პარიტეტულ პრინციპებზე გააერთიანებს საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთისა და მოლდავეთის იმ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დასახელებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესის

## რეზოლუცია

### საბჭოთა არჩევნების ბოიკოტის შესახებ

ქართველმა ერმა, რომლის თვითმყოფადობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე შორეულ წარსულში იღებს სათავეს, რომელიც ორიათასხუთასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე ქმნიდა უნიკალურ, დიდ ცივილიზაციებთან წილნაყარ, ეროვნულ კულტურას, მრავალრიცხოვანი მტრების გარემოცვაში სარწმუნოებრივი სიწმინდისა და თავისუფლებისათვის ღვრიდა სისხლს, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადებით თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის გზით ქართველმა ერმა აღადგინა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად წართმეული სახელმწიფოებრიობა და შექმნა დემოკრატიულ პრინციპებსა და სამართლებრივ მექანიზმებზე აგებული პირველი ქართული რესპუბლიკა. ქართული სახელმწიფოებრიობა სრული პოლიტიკური სუვერენიტეტით აღიარებულ იქნა რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მეშვეობით, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა ერთა ლიგის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტო და დე იურე ცნობით. ერთა ლიგის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტიური და იურიდიული აღიარება წარმოადგენდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული სრულფასოვანი ერის დამკვიდრებას საერთაშორისო არსებობის რეალურ სტრუქტურაში.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია, იარაღის ძალითა და ადგილობრივ მარიონეტულ ფენებზე დაყრდნობით საქართველოში დაამყარა საბჭოთა სახელმწიფო წყობილება და ხელისუფლება. ბოლშევიკურმა რუსეთმა გარეშე შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობილი გასაბჭოებით მოამზადა საქართველოში სუვერენული სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიული წყობილების სრული ლიკვიდაცია, რაც განხორციელდა საქართველოს ტერიტორიული დანაწევრებითა და რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ე.წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი იძულებითი შეყვანით. საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და შეიარაღებული აგრესიის დაფარვის მიზნით საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსირებულ საქართველოს მიენიჭა სსრ-ის სტატუსი, რომლის იურიდიულად ნომინალური და ფაქტიურად არარსებული სუვერენიტეტით საქართველო კოლონიურ მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული.

ქართველი ერი არ შეურიგებია თავისუფლების დაკარგვას და რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებითი დაპყრობის პირველი დღიდანვე აწარმოებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლას, რაზეც მიუთითებს ოციანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობა და 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 68 წელი გავიდა და მთელი ამ ხნის მანძილზე ქართველ ერს არც პლებისციტითა და არც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება არ უცვნია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა სახელმწიფო წყობილებისა და ხელისუფლების არსებობას არ გააჩნია არავითარი იურიდიული და კანონიერი საფუძველი. დღეს, როდესაც ფართოდ გაიშალა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაზეც უპირველეს ყოვლისა მეტყველებს 1989 წლის 4-9 აპრილის საყოველთაო გამოსვლები, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიღწევა მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რაოდენ პრინციპულად და მასობრივად დაუპირისპირდება ქართველი ხალხი საბჭოთა იმპერიას და საერთოდ საბჭოთა სინამდვილეს, რომელიც ერს აცლის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას. აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი მოუწოდებს სრულიად საქართველოს - გამოეცხადოს ქართველი ხალხისაგან სრული ბოიკოტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს და არ მოხდეს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევა. თუ ქართველი ხალხი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ე.წ. სსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმაღლესი საბჭოს არჩევაში, ამით იგი კანონიერ საფუძველს მოუმზადებს დე იურიდიულ აღიარებას მიანიჭებს დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიაზე დამპყრობლის მიერ თავსმოხვეულ საბჭოთა წყობილებასა და ხელისუფლებასა და დააკანონებს საქართველოს ყოფნას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ე.წ. სსრ კავშირის შემადგენლობაში. ქართველმა ერმა სამართლებრივი, მშვიდობიანი, პოლიტიკური ბრძოლით უნდა უჩვენოს მთელ მსოფლიოს, რომ არსებულ მდგომარეობაში, როგორც სამართლებრივი სუბიექტი იგი ანექსირებულია და იმყოფება აგრესიის დაწოლის ქვეშ და ამით მოიპოვოს საერთაშორისო მხარდაჭერა. დღეს არსებული ანექსირებული მდგომარეობისადმი მასობრივი პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის საუკეთესო საშუალებად საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პირველი კონგრესი მიიჩნევს - საქართველოს ე.წ. სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების სრულ ბოიკოტირებას და ჩაშლას.

◆ რუსული იმპერიის მიერ მეტ-ნაკლებად დაჩაგრულ ხალხთა შორის პოლონელებს მუდამ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავათ თავისუფლებისაკენ სწრაფვითა და ბრძოლისუნარიანობით. 80-იანი წლების, როგორც დასაწყისის, ისე დასასრულის მოვლენები კვლავ ადასტურებენ ამას. ვფიქრობთ, ქართული საზოგადოებრიობისათვის მრავალმხრივ საინტერესოა ამ ქვეყანაში არსებული ვითარების გაცნობა. ახლახანს, პოლონეთში იმყოფებოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი ზურაბ ჯინჭარაძე რომელიც ჩვენი ბიულეტენის საშუალებით გაგიზიარებთ თავის შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს.

პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღეს უაღრესად დიდ აღმავლობას განიცდის. სულ რაღაც ორიოდე კვირა გავიდა, რაც მაზოვეცკის კაბინეტი მუშაობას შეუდგა. "სოლიდარობა" თავის გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ რადიკალურად განწყობილ პარტიათა და დაჯგუფებათა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. მცდარია ის აზრი, თითქოს პოლონეთში პოლიტიკურ კლიმატს მხოლოდ "სოლიდარობა " ქმნიდეს. სამწუხაროდ, საბჭოური პრესა ან საერთოდ არ აღნიშნავს ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა KPN(პოლონეთის დამოუკიდებლობის კონფედერაცია) NZS(Niepodlegey Zwionzev studentuw -სტუდენტთა დამოუკიდებელი კავშირი), PPN (პოლონეთის დამოუკიდებლობის პარტია), ხოლო თუ აღნიშნავს, ცდილობს მათ ექსტრემისტებისა და ტერორისტების იარლიყი მიაკეროს. ვარშავაში ყოფნისას ხანგრძლივი საუბარი მქონდა KPN-ის ერთ-ერთ წარმომადგენელთან-პიოტრ ფრელეკთან და უნდა მოგახსენოთ, რომ მასჩემზე ტერორისტის შთაბეჭდილება სულაც არ მოუხდენია. აღნიშნული სამი ორგანიზაცია საკმაოდ სოლიდურ გაერთიანებებს წარმოადგენენ დღევანდელი პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, მათ შორის ყველაზე რადიკალური და თანაც რეალური ძალის მქონე, ალბათ, მაინც "პოლონეთის დამოუკიდებლობის კონფედერაციაა". KPN - KON-FEDERACJA POLSKI NIEPODLEGLE -შეიქმნა 1979 წლის ოქტომბერში. მასში თავდაპირველად 30 კაცი იყო გაერთიანებული ამჟამად, ეს ორგანიზაცია 37-38 ათას წევრს ითვლის, მაგრამ მის მიმართ სიმპატიით განწყობილ პირთა რიცხვი გაცილებით დიდია.

KPN-ის უმაღლესი მმართველი ორგანოა კონგრესი, რომელსაც ოთხ წელიწადში ერთხელ იწვევენ და რომელიც ამ დროის განმავლობაში განსაზღვრავს ორგანიზაციის ძირითად სტრატეგიულ კურსს. პროგრამულ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის უფლება მხოლოდ კონგრესს გააჩნია. კონგრესზე ირჩევენ " პოლიტიკურ რადას", რომელიც კონგრესებს შორის პერიოდში უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს. რადაში წევრთა რაოდენობა განსაზღვრული არაა. ამჟამად KPN-ის პოლიტიკურ რადაში 14 პირველადი რეგიონალური კომიტეტის ლიდერი შედის. პოლიტიკური რადა, თავის მხრივ, ირჩევს პრემიერს. კონფედერაციის უცვლელი ხელმძღვანელი დაარსებიდან მლეშეკ მაჩულსკია, რომელიც ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პოლიტიკური რადა გამოსცემს გაზეთს "დროგა" (გზა). აღსანიშნავია, რომ "პოლონეთის დამოუკიდებლობის კონფედერაციის გავლენის სფეროს არა მარტო მოსახლეობის ფართო მასები წარმოადგენენ, არამედ მას თავისი წევრები ჰყავს არმიაშიც. III კონგრესს არმიის ოფიცერთაგან ოფიციალური დელეგატიც ესწრებოდა.

კონფედერაციის სტრუქტურა პროფესიულ საწყისებზეა აგებული პროფესიული ჯგუფები რეგიონალურ კომიტეტებში არიან გაერთიანებული. KPN-ის წევრი ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება გახდეს, ოღონდ მან საცდელი პერიოდი უნდა გაიაროს. ორგანიზაციის წევრს, უკვე ფიცის დადების შემდეგ, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს "ლეგიტიმაციას" გადასცემენ.

განსხვავებით "სოლიდარობისაგან" KPN კატეგორიულად მოითხოვს, რომ საბჭოთა არმიამ დატოვოს პოლონეთის ტერიტორია და ქვეყანა "ვარშავის ხელშეკრულებიდან" გამოვიდეს. მათ პოლონეთის მომავალი უფრო ავსტრიული მოდელის მსგავსად წარმოუდგენიათ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამისაკენ საკმაოდ რთული და ხანგრძლივი გზა იქნება.

აპრილში გამართულ მრგვალ მაგიდას, როგორც ვიცით, ყველა პარტია და ორგანიზაცია ესწრებოდა გარდა KPN-ისა და PPN-ისა. ეს უკანასკნელი საერთოდ უარყოფს მთავრობასთან დიალოგს და ტაქტიკას არაპარლამენტურ გზაზე აგებს. პოლონეთის დამოუკიდებლობის პარტია KPN-დან გამოსულთა ერთმა ჯგუფმა შექმნა. მათი ლიდერია რომუალდ შერემეტიევი. პარტიის მთავარი ლოზუნგია: თავისუფალი არჩევნები კომუნისტების გარეშე.

ოპოზიციური ძალების ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში იყო მოთხოვნა პარტიების ლეგალიზაციისა. ამას მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრი მაზოვეცკიც (უნდა აღინიშნოს, 22 სექტემბერს სტუდენტთა დამოუკიდებელმა კავშირმა NZS-მ უკვე მიიღო ლეგალიზება და ეს ამბავი დიდი ზეიმით აღინიშნა). თუ ეს ასე მოხდა (ალბათ ასეც იქნება) უნდა ვივარაუდოთ, რომ ოთხი წლის შემდეგ KPN პარლამენტში ადგილების უმრავლესობას მოიპოვებს.

განსხვავებული მიმდინარეობა თვით სოლიდარობაშიც შეიმჩნევა, თუმცა ჯერ ამაზე მხოლოდ არაოფიციალურ წრეებში საუბრობენ. ვალენსას ოპოზიციას წარმოადგენს კორნელ მორავეცკი და მისი განშტოება "სოლიდარნოს ვალჩონცა" ("სოლიდარობა იბრძვის") იგი არ ეთანხმება ვალენსას არც პროგრამაში და არც იმაში, რომ იგი კომუნისტებთან მოლაპარაკებაზე მიდის.

რაც შეეხება კომუნისტურ (გაერთიანებულ მუშათა) პარტიას, იგი ფაქტიურად აღარ არსებობს. მისგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა. ცხადია, რომ მომავალ არჩევნებში ისინი პარლამენტში უმცირესობაში მოხვდებიან (თუ საერთოდ მიაღწიეს). ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ უახლოეს ყრილობაზე კომპარტია ოფიციალურად დაშლილად გამოაცხადონ და კრემლის ადგილობრივ მარიონეტებს ახალი ნიღაბი ააფარონ-უბრალოდ სახელი შეუცვალონ.

პოლონეთში მიმდინარე პროცესები ნათლად აჩვენებენ, თუ რაოდენ არამყარია იქ არსებული რეჟიმი, რომელიც უკვე იძულებული აღმოჩნდა დაეწყო პოზიციების დათმობა. გაკოტრებული კომპარტია კატასტროფისაკენ მიექანება. დღევანდელი პოლონეთი გარკვეულ წილად მთელი ავალინდელი სოციალიზმის გამოხატულებაა, წყობისა, რომლის ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილებებისა და უფლებების წინააღმდეგ მიმართული ექსპერიმენტები ველარ უძლებენ ისტორიისა და თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის მონაპოვრების წინაშე გამოცდას.

ზურაბ ჯინჭარაძე

## ს.ე.დ.პ. საინფორმაციო სააგენტო იუწყება

◆ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საინფორმაციო სააგენტო რაიონულ და რეგიონალურ კომიტეტებს აცნობებს ტელეფონის ნომერს 34-64-09 (ქეთინო ხარებავა). რეგიონალური და რაიონული კომიტეტები ვალდებული არიან ყოველგვარი ინფორმაცია მოგვაწოდონ აღნიშნულ ნომერზე (სხვა ტელეფონის ნომრებს გაცნობებთ შემდეგ ნომრებში)

◆ 30 სექტემბერს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ და წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ მოაწყო საპროტესტო მიტინგი ქ. თბილისში, რომელიც ეხებოდა ოსური სეპარატიზმის გააქტიურებას, სიტუაციას აფხაზეთში, საბჭოთა არჩევნების ბოიკოტს და სხვა საკითხებს. სიტყვებით გამოვიდნენ ბატონები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, თემურ ქორიძე, 1924 წლის ეროვნული აჯანყების მონაწილე, ამჟამად საფრანგეთში ემიგრირებული მელორ გუნია და სხვა.

◆ 1 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტისა და წარმომადგენელთა პალატის ერთობლივი სხდომა.

განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. პირველადი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.
2. მომავალი აქციების მომზადების შესახებ.
3. საბჭოთა არჩევნების ბოიკოტის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

სხდომა მიჰყავდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავჯდომარეს ირაკლი წერეთელს; ესწრებოდნენ პირველადი ორგანიზაციების კომიტეტთა წევრები. საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ სუმბათაშვილი, კობა ხაბაზი, კონსტანტინე ჩოგოვაძე, მევლუდ გოგიაშვილი და სხვა.

--წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებით უღირსი ქმედებისათვის პარტიიდან გაირიცხა: ალექსანდრე ჩიტაძე, თამაზ შარმანაშვილი, ზურაბ ლონლაძე, თემურ ზაქარაშვილი, დათო თავლუშაძე.

ნომერი მოამზადეს: მერაბ ზარაშენიძემ, ირაკლი შელიამ.